

THE CHARACTER OF THE FOX IN THE SMALL-SCALE SPEECH SAMPLES (PROVERB, RIDDLE, TONGUE TWISTER)

პერსონაჟი მელის მცირე ზომის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში
(ანდაზა, გამოცანა, სწრაფსათქმელი)

Ketevan Barbakadze

Doctor of Pedagogical Sciences
Associated Professor of Gori State University,
53 Chavchavadze St. 1400, Gori, Georgia
+995577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

Abstract. The fox is one of the characters in animal fairy tales. Its characteristics - deceit, dexterity, cunningness is often used in the storylines of fairy tales, usually against relatively strong and aggressive animals. This topic has already been studied in animal and magical tales (Pikria Zandukeli, Ksenia Sikharulidze, Rusudan Cholokashvili, and others), but it has also been noted by researchers in smaller forms of folklore (spells). The aim of this article is to examine the name and function of the fox in small-scale folklore forms (proverbs, aphorisms, riddles, and witty tongue twisters).

It was found that in small-scale oral folklore, the “fox” appears for various purposes (to create rhythm, to highlight the fox’s characteristic traits, etc.).

It is evident that the “fox” appears exclusively in this function within oral samples, which are preserved in people’s memory in a highly original way and are noteworthy for the history of their study.

Key words: Fox, Proverb, Riddle, Tongue Twister.

ქეთევან ბარბაკაძე

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., № 53, 1400, საქართველო,
+995 577151211, qbarbakadze@gmail.com
<https://orcid.org/0000-0002-8706-2102>

აბსტრაქტი. მელის ცხოველთა ზღაპრის ერთ-ერთ პერსონაჟია. მისი თვისებები - მატყუარობა, მოხერხებულობა, ცბიერება - ხშირად გამოიყენება ზღაპრის სიუჟეტებში, ძირითადად. შედარებით ძლიერი და აგრესიული ცხოველების წინააღმდეგ. ეს საკითხი უკვე შესწავლილია ცხოველთა თუ ჯადოსნურ ზღაპრებში (ფიქრია ზანდუკელი, ქსენია სიხარულიძე, რუსუდან ჩოლოყაშვილი და სხვ.), მაგრამ მკვლევარების მიერ დაფიქსირებული იყო აგრეთვე მცირე ზომის ფოლკლორულ ნიმუშებშიც (შელოცვა).

სტატიის მიზანი იყო შეგვესწავლა მელიას სახელწოდება და ფუნქცია უფრო მცირე ზომის ფოლკლორში (ანდაზა, აფორიზმი, გამოცანა, სწრაფსათქმელი).

გამოიკვეთა ფაქტი, რომ მცირე ზომის ზეპირსიტყვიერებაში „მელია“ გვხვდება სხვადასხვა დანიშნულებით (გარიტმისთვის, მელიის თვისებებზე ყურადღების გამახვილებისათვის და სხვ.).

ცხადია, სწორედ „მელია“ გვხვდება მხოლოდ ამ ფუნქციით ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში, რაც ხალხის მეხსიერებაში შემონახულია მეტად ორიგინალურად და საყურადღებოა მათი შესწავლის ისტორიისათვისაც.

საკვანძო სიტყვები: მელია, ანდაზა, გამოცანა, სწრაფსათქმელი.

შესავალი. ცხოველთა ზღაპრების კლასიფიკაციისას მკვლევარი-ფოლკლორისტი მიხეილ ჩიქოვანი ერთ-ერთ პირველ კატეგორიაში „მელაზე ამბებს“ ასახელებს და ასე ახასიათებს ამ პერსონაჟს: „მელა მოხერხებული და გონებამახვილი პერსონაჟია. მისთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. ბოლოდროინდელ ზღაპრებში მელა იგავ-არაკისებური გმირია, რომელიც მოტყვილების, ცბიერებისა და უნდობლობის განსახიერებას წარმოადგენს. სხვა ქვეყნის ფოლკლორისაგან განსხვავებით, მელა ქართულ ზღაპრებში ხშირად მარცხდება, განიზრახავს რა ვინმეს მოტყუებას. მელის სამოქმედო არე სცილდება ცხოველთა ეპოსის ფარგლებს. (ხაზი ჩვენია - ქ.ბ.) ჯადოსნურ ზღაპრებში მელა ადამიანის დამხმარე და ზედის მაჩვენებელია...სამაგიეროდ, გრძელკუდა დიდ პატივისცემას არ მოითხოვს. მისი სურვილია სიკვდილის შემდეგ საქათმეში დამარხონ“ (ჩიქოვანი, 1956: 364)

მელას ფოლკლორულ ნაწერებში ხან ასე მოიხსენიებენ - „მელი“, ხან როგორც „მელას“, ამის მიხედვით იგი ორგვარად გვხვდება ჩვენს სტატიაშიც. სწორედ 20-მდე ზღაპრის მაგალითზე შეისწავლის ფოლკლორისტი რ. ჩოლოყაშვილი „მელის მითოსურ სახეს ქართულ ფოლკლორში“. მისივე აზრით, მელიის გამოჩენა ზღაპარში „გენეტიკურად მოკვდავი და მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების მატომორფოზულ სახესხვაობას წარმოადგენს“ და, ამდენად, მკვლევარ ტოპოროგაზე დაყრდნობით, დიონისეს ერთ-ერთ იპოსტასს წარმოადგენსო. ამიტომაც ზღაპარში (ძირითადად ჯადოსნურში) მისი საკვები ვაზი, ყურძენი ან ხორბალია, თუმცა, მისი უშრომლად მოპოვება სურს. ზღაპრებში „მელია და კრავი“, „თხა და მელია“, „ღორი, დათვი და მელია“ - ხორბლის თავთავით სტუმრობს და სხვა.

რ. ჩოლოყაშვილი, ემყარება ს. ერედვი (ქართლში) ჩაწერილ გადმოცემას, რომ „დათვი, მგელი და მელა თავიდანვე ადამიანები იყვნენ. ძალიან უჭირდათ. ქრისტე ღმერთმა მათ ვენახი, ყანა და ცხვარი უბოძა, მაგრამ ვერ შეიფერეს - წყალობა არ უბოძეს გლეხის სამოსით გამოცხადებულ ღმერთს. ამაზე გაწყრა ქრისტე-ღმერთი და უღირსი ადამიანები ცხოველებად აქცია“ (მთქმელი არბოლიშვილი სოლიკო, ჩამწ. ელ. ვირსალაძე, ს. ერედვი, ქართლი, 1949)“ (ჩოლოყაშვილი, 2009: 144).

მელია არცთუ იშვიათად ზღაპრის დასაწყისსა თუ დასასრულის ფორმულებშიც გვხვდება, რომელთაც ხშირად მითოსური შინაარსი აქვთ, საკრალური დანიშნულებისანი ჩანან და არ არის გამორიცხული ის აქ მოიხსენიებდეს, სწორედ როგორც ღვთაება. მაგ: ელასა, მელასა ჭიქა მეკიდა ყელასა“ (ვირსალაძე, 1958: 54) (ჩოლოყაშვილი, 2009: 108).

გარდა ზღაპრებისა რ. ჩოლოყაშვილის შელოცვაც მოჰყავს მაგალითად: ელი, ელავდა, მელი მელიობდა, ზღვა შიშინობდა, ზღვა ფოფინობდა“ (შიოშვილი, 1994: 105).

მაგრამ რატომ გაჩნდა იგი მცირე ზომის ზეპირსიტყვიერ ნიმუშებში (ანდაზა, გამოცანა, სწრაფსათქმელი), ამის კვლევასაც ვაპირებთ ნაშრომის ძირითად ნაწილში.

მეთოდები. გამოყენებული იქნება ძირითადად კომპარტივისტული და შედარებითი მეთოდები.

შედეგები და მსჯელობა. მცირე ზომის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ფოლკლორისტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ანდაზა, გამოცანა, სწრაფსატყმელი საკმაოდ განსხვავებული ჟანრებია, რომლებიც მსგავსებას მხოლოდ ფორმითა და გარითმით იჩენენ, თუმცა სამივე აუცილებელი ნაწილია ქართველი მოზრდილი თუ მცირე ასაკის მსმენელისათვის, ბუნებრივია, ფუნქციური დანიშნულებით. თუ ანდაზა მოზრდილი ადამიანისთვის რაღაც ჩადენილის ან ჩასადენის ქმედებისაკენ ადამიანის გაფრთხილებას ან მინიშნებას წარმოადგენს, მცირეწლოვნისათვის დიდი პედაგოგიური დანიშნულება აქვს. ბავშვი, იქნება ის სკოლამდელი, თუ სასკოლო ასაკისა უნდა იცნობდეს, გაიაზროს და აღარ გაიმეოროს ცუდი საქციელი ან დაფიქრდეს მის შედეგებზე. ეს საბავშვო ლექსშიც მოჩანს. ამ მოვლენის მკვლევარი ფიქრია ზანდუკელით დინამიურობით ხსნის:

„ესო, მესო

მელა ჩიოდესო.

- გამიგდეს და გამომიგდეს,
- სოროს ჩამაგდესო,
- შამაშიბოლესო
- შიგ გამომადრჩესო,
- კავი შემოყვესო,
- გამომათრიესო,
- შინ ამიტანესო,
- მაღლა დამკიდესო” (ზანდუკელი, 1977: 14).

„საერთოდ ცნობილია, - წერს ფ. ზანდუკელი, - რომ ბავშვი კონკრეტული მოაზროვნეა და, ამავე დროს, რეალურ გარემოს თავისებურად აღიქვამს და ითვისებს. ამიტომ მათ რეპერტუარში შესული ხალხური შემოქმედების ნიმუშები, ყოველთვის შეფარდებულია ბავშვის კონკრეტულ აზროვნებასთან და რეალური გარემოს აღქმის უნარიანობასთან” (ზანდუკელი, 1977: 14). მაშინ, როდესაც ეს მოკლედ შეიძლება წარმოდგეს ანდაზის სახით:

„მელა კვდებოდა და თავი საქათმეში მიჰქონდაო” (უმიკაშვილი, 1964: 241).

ამასვე ემსახურება მეორე ანდაზაც:

„მელას ჰკითხეს:თავი საით გიყოთო და საქათმისკენაო” (უმიკაშვილი, 1964: 241).

სხვა ანდაზა მიგვანიშნებს იმაზეც, რომ, რაც არ უნდა უქნან, ისევ ისეთი დარჩება: სურვილებითა და ქმედებებით, ამას აკეთებს სრული შეგნებით:

„მელამ თავის კუდი მოწმედ მოიყვანაო” (უმიკაშვილი, 1964: 241) და არასოდეს მოიშლის მელობას. ასევე ადამიანიც, რომელმაც იცის თავისი ბოლო, მაგრამ მაინც ჩადის საქციელს: „მელას თავისი მახრჩობელა უყვარდა” (უმიკაშვილი, 1964: 241).

ანდაზა მელაზე მიაწიშნებს დიდსა თუ პატარას, რომ, რაც არ უნდა გაუკეთო ცბიერ, მატყუარა ადამიანს, (ემმაკობით რომ ცდილობს მიზნის მიღწევას), ის ისევ ისეთი რჩება.

„მელას უთხრეს გძელს რომ ამოკლებდნენ, სად იყავიო?

იქ ვიყავი, მოკლეს რომ აგრძელებდნენ, სადღა იყავიო, იქ აღარ ვიყავიო” (უმიკაშვილი, 1964: 241).

გამოცანამ თავისი ფუნქცია საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე შეინარჩუნა განევითარებინა აზროვნება, მიეცა ერთგვარი გამოცდილება და იმის გაგების უნარი, რა

რა არის და რა თვისების მატარებელია, საიდან რა არის, რისგან რა შეიძლება მივიღოთ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მას ახასიათებს „საგნობრიობა, კონკრეტულობა და ცხოვრების დეტალებისადმი მიმართება (ზანდუკელი, 1977: 27). იგი ძირითადად ბავშვებისთვისაა განკუთვნილი და გამომცნობელს აგრძნობინებს თავს გამარჯვებულად, ბრძნად, რაც „მელიას“ სიტყვის შემცველ გამოცანაშიც გვხვდება:

„მე ერთი რამე მინახავს, მიწაში მჯდომელია,

სამჯერ მე გეტყვი სახელსა, ერთხელ შენ თქვი რომელია,

ამისა გამომცნობელი ბრძენი მიუწვდომელია” (ხაზი ჩვენია, - ქ.ბ. (უმეკაშვილი, 1964:296). აღნიშნული გამოცანის ორი სხვა ვარიანტიც არსებობს, რომლებშიც მეორდება „რომელია, რომელია”. მთქმელის მიზანი მელიის ამოცნობაა, რასაც გვაძლევს მაჯამური რითმაც.

ერთ სწრაფსათქმელში ფიგურირებს მელია, ნეფე-დედოფლის თავში მჯდომელი:

„ერთი რამე სულიერი მიწა-მიწა მძრომელია,

მეფისა და დედფლისა თავსა წამომჯდომელია,

სამჯერ სახელს მოგახსენებ, ვინმლო ახსნა, რომელია” (უმეკაშვილი, 1964: 296)

რატომღაც გაუგებარია „მელია” გამოცანაში:

„როგორ შეძლებს სომეხი მარტო ლომისა ბრძოლასა,

აქ ათიბინებს ყანასა თავის ყმასა და ქალასა,

კაბარიას დაუძახებს, ის თუ დაიჭერს მელასა,

ახალუხისას მოგართმევ, ხელი მოხვიე ლელასა” (უმეკაშვილი, 1964: 310).

გამოცანებით მდიდარი იყო XIX საუკუნის ქართული საბავშვო ჟურნალ-გაზეთები, ტრადიცია მეოცე საუკუნის საბავშვო ჟურნალებშიც გაგრძელდა სათანადო ილუსტრაციებით.

გამოცანის ოთხივე ტაეპის აზრი ერთიმეორის მიმართ ნაკლებად გასაგებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XX საუკუნის ბოლოს გავრცელებულ ფრაზას „კაი მელას დაიჭერს”, რაც ირონიულად მიანიშნებს ქმედების მოსალოდნელ უარყოფით შედეგზე. შესაძლებელია ეს ოთხსტროფიანი გამოცანადაც არ ჩავთვალოთ.

სწორედ საბავშვო ფოლკლორსა და, ამავედროულად, სადიდოსაც (თეატრალურ, მუსიკალურ სასწავლებლებში მეტყველების გასაუმჯობესებლად) განეკუთვნება ენის გასატეხი ანუ სწრაფსათქმელი, რომელიც, არცთუიშვიათად რითმისათვის ერთიმეორესთან დაკავშირებულ ამა თუ იმ ბგერაზე სიტყვების ერთობლიობას წარმოადგენს. ბავშვებთან ამას აქვს შეჯიბრის, ხშირად მასხარად აგდების (შეცდომით ცუდი სიტყვის წარმოთქმისას სახე „ამ დარგის პედაგოგიკა ყოველთვის აქცევდა ყურადღებას, როგორც სიტყვების სწრაფად და სწორად გამოთქმის შესასწავლ საშუალებას, საბავშვო წიგნების ფურცლებზე ყოველთვის უთმობდნენ მას შესაფერ ადგილს (ზანდუკელი, 1977: 28).

„მელიას” შემცველი ენის გასატეხი ცოტაა, მაგალითად.:

ელა არის, მელა არი, კარებს უკან კერა არი,

კვიცი გაკრეჭილია, კალო მოჭედილია” (უმეკაშვილი, 1964: 283)

„მელას გუთანნი შეუბამს, შეუსაბელ სახნის სახვნელ უღელ-ტაბიკ-აპეურებია,

როგორც შუსაბელ-სახნის სახვნელ-უღელდ-ტაბიკ-აპეურებია,

ისე ამოუსაბელ-სახნის სახვნელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია”.

აქ მელა და გუთანნი კვლავ გვაბრუნებს მელის დაინტერესებასთან ყანით და ხორბლით. ამიტომ მთქმელი, ეტყობა შეეცადა სწორედ შეეხამებინა ენის გასატეხის ყველა სიტყვა. თუმცა არსებობს „მელიას” მაგიერ „ბერიკას” ჩართვით შექმნილი სწრაფსათქმელიც: ბერიკას გუთანნი შეუბამს...”

დასკვნა. „მელიას“ დომინირება ცხოველთა თუ ჯადოსნურ ზღაპარში გაპირობებული იყო ამ ცხოველის მითოსური წარმომავლობით, რაც ფორმით თუ ფუნქციის მატარებლობით აისახა კიდევ ქართულ ფოლკლორში.

განსხვავებით მცირე ზომის ფოლკლორულ ნიმუშებში „მელიას“ ხსენება გაპირობებულია უფრო გარიტმით (გამოცანა), ხოლო ანდაზებში წარმოჩინდა მელიასათვის დამახასიათებელი თვისებების მინიშნებაზე, რომ რაც არ უნდა იმოქმედოს მავანმა, მელია ისევ თავისი ხასიათის თვისებების ერთგული რჩება.

ენის გასატეხებში კი „მელია“ მაინც უკავშირდება მის ტრადიციულ დამოკიდებულებას ყანასა და ხორბალთან. კვლევის შედეგად კიდევ ერთი დეტალი მიემატა ზეპისიტყვიერების ჟანრების კვლევას.

გამოყენებული ლიტერატურა

ვირსალაძე, ელ. (1949). *რჩეული ხალხური ზღაპრები*. თბილისი: სახელგამი.

ზანდუკელი, ფ. (1977). *ქართული საბავშვო ფოლკლორის საკითხები*. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.

უმეკაშვილი, პ. (1964). *ხალხური სიტყვიერება*. II. ლიტერატურა და ხელოვნება. თბილისი.

ჩიქოვანი, მ. (1956). *ქართული ხალხური სიტყვიერება*. თბილისი: სამეცნიერო მეთოდკაბინეტი.

ჩოლოყაშვილი, რ. (2009). *ზღაპარი და სინამდვილე*. თბილისი.

სიხარულიძე, ქს. (1938). *ქართული საბავშვო ფოლკლორი*. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

შიოშვილი, თ. (1994). *ქართული ხალხური შელოცვები*. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

REFERENCES

virsaladze, el. (1949). *rcheuli khalkhuri zghap'rebi [Selected Folk Tales]*. Tbilisi: Sakhelgami.

zanduk'eli, p. (1977). *kartuli sabavshvo polk'loris sak'itkhebi [The Issues of Georgian Children's Folklore]*. Tbilisi: Publishing House „Nakaduli“.

umek'ashvili, p'. (1964). *khalkhuri sit'qviereba [Folklore]*. II. Literature and Art. Tbilisi.

chikovani, m. (1956). *kartuli khalkhuri sit'qviereba [Georgian Folklore]*. Tbilisi: Scientific Method Cabinet.

choloqashvili, r. (2009). *zghap'ari da sinamdville [Fairy Tale and Reality]*. Tbilisi.

sikharulidze, ks. (1938). *kartuli sabavshvo polk'lori [Georgian Children's Folklore]*. Tbilisi: TSU Publishing House.

shioshvili, t. (1994). *kartuli khalkhuri shelotsvebi [Georgian Folk Spells]*. Batumi: Adjara Magazines and Newspapers Publishing House.